ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N228

ქ. თბილისი 21 დეკემბერი 2023 წ.

ერთის მხრივ სსიპ კოლეჯი „მერმისი“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნონა ღუდუშაურის სახით და მეორეს მხრივ შპს ჯეი ეფ ჯორჯია (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის შოთა ნოზაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ **საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის** საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (დაფინანსების წყარო - ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის 2022 წლის 26 დეკემბრის №1653889 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაფინანსების ქვეპროგრამის (პროგრგრამული კოდი 32 03 02 02) ფარგლებში (ხელშეკრულება №225/მ 18/12/2023წ)) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი)

1.1 ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი): (საკუთარი სახსრებით) ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (საქონლის დასახელება, CPV კოდი, რაოდენობა და ერთეული ფასი მოყვანილია N1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 2362,50 (ორიათას სამას სამოცდაორი ლარი და 50 თეთრი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შემსყიდველს მიაწოდებს ხარისხიან საქონელს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები

4.1 შესყიდვის ობექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი N9ა.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის **2023 წლის 21 დეკემბრიდან 2023 წლის 26 დეკემბრამდე.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებელის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირია სსიპ კოლეჯი „მერმისის“ მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი გოდერძი მადურაშვილი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარშსწორების წესი

6.1 ანგარიშსწორების ფორმა- უნაღდო.

6.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება (ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე) მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება– მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულოების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 21 დეკემბრიდან 2024 წლის 30 იანვრამდე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართვენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კოლეჯში მოქმედი ინსპექტირების ჯგუფი.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დეფექტის სათანადო მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ინტერესთა კონფლიქტი

14.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და ვალდებულებები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ კოლეჯი „მერმისი"
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი N9ა, ს/კ 209467646;
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, ა.ა. 709097519
ორგანიზაციული კოდი 32030111
დირექტორი: ნონა ღუდუშაური

_____
(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:
შპს ჯეი ეფ ჯორჯია
მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩა, N 37ა
სს „თიბისი ბანკი" ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE11TB7748636080100005
ს/კ 402009278
დირექტორი: შოთა ნოზაძე

Shota Nozadze 01009015250
Digitally signed by Shota Nozadze
Date: 2023.12.21 16:53:29

დანართი N1

№	CPV-კოდი	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ-ბა	ერთ. ფასი	საქონლის ფასი
1	33711610	NB_შამპუნი "Ocean Fresh" ზღვის პროდუქტი 5000 მლ	ცალი	1	28	28.00
2	33711600	NB_ბალზამი 5000 მლ	ცალი	1	28	28.00
3	33711600	NECKY_პირსახოცი ერთჯერადი NECKY 70სმ40სმ100ც	ცალი	1	35	35.00
4	33711600	KP_13005_თმის სამაგრი შავი/თეთრი 12ც	ცალი	1	12	12.00
5	33711600	KP_13003_თმის სამაგრი შავი/თეთრი 12ც	ცალი	1	22.5	22.50
6	33711600	HC_საღებავის გამხსნელი 3%-(10VOL) 1000მლ	ცალი	2	10.5	21.00
7	33711600	HC_საღებავის გამხსნელი 6%-(20VOL) 1000მლ	ცალი	2	10.5	21.00
8	33711600	HC_საღებავის გამხსნელი 12%-(40VOL) 1000მლ	ცალი	2	10.5	21.00
9	33711600	JF_გამაღიავებელი იასამნისფერი ფხვნილი შავი მოცხარის თესლის ზეთით 500მლ	ცალი	2	30	60.00
10	35820000	XJ_ნატურალური თმა (ყავისფერი) 16 ინჩი (მაწეკენის თავი)	ცალი	4	170	680.00
11	39712210,	KP_8307BK_თმის ფენი DRAYER PORTOFINO 1800/2000w black	ცალი	2	98	196.00
12	33711600	MFY_ფოლგა დიდი15სმ 1000გრ.	ცალი	2	20	40.00
13	33711600	LS_საღებავის მოსაცილებელი 200მლ	ცალი	1	12	12.00
14	38311000	NGG_სასწორი SCALE	ცალი	1	35	35.00
15	33711600	KP_2115.55 მაკრატელი ERGO ANATOMIC - ABS - MICRO - SONIC	ცალი	4	45	180.00
16	33711600	KP_2119.6 ფილიროვკა SCISSORS ABS MICRO	ცალი	4	48	192.00
17	33711620	JAG_T310RED_სავარცხელი "Static free" წითელი 25მმ	ცალი	2	28	56.00
18	33711620	JAG_T330RED_სავარცხელი"Static free" წითელი 33მმ	ცალი	2	31.5	63.00
19	33711600	MFY_წყლის პულივიზატორი 500მლ	ცალი	2	4	8.00
20	33711600	JF_ჯამი "Tint Bowl" პლასტმასის საღებავისათვის	ცალი	4	4	16.00
21	33711600	KP_13104 ფუნჯი ღებვისთვის	ცალი	4	4	16.00
22	33711620	JAG_A510_სავარცხელი შესაჭრელი	ცალი	4	9	36.00
23	33711620	JAG_A535_სავარცხელი შესაჭრელი	ცალი	4	9	36.00
24	33711600	NGG_ერთჯერადი მოსახვევი 100სმ/140სმ 50ც	ცალი	1	17	17.00
25	33711600	KP_13128WH მოსახვევი CUTTING CAPE კლიენტის წყალგაუმტარი	ცალი	4	18	72.00
26	33711600	TE_მაგნიტის მოსახვევი Hair Gutting Magnetic	ცალი	2	35	70.00
27	39712100	MOS_1400-0087_პროფესიონალური თმის საკრეჭი მანქანა "Mains-Operated"	ცალი	1	155	155.00
28	33711600	1_(VB)_შავი100 მლ	ცალი	2	7.8	15.60
29	33711600	10.1_(VB)_ულტრა ღია ფერფლისფერი ქერა 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80
30	33711600	11.21_(VB)_იისფერი ფერფლისფერი პლატინისფერი 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80
31	33711600	12.21_(VB)_ინტენსიური ქერა იისფერი ფერფლისფერი 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80
32	33711600	12.77_(VB)_ინტენსიური ქერა ჩალისფერი 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80
33	33711600	2_(VB)_ძალიან მუქი ნატურალური ყავისფერი 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80
34	33711600	3_(VB)_მუქი ნატურალური ყავისფერი 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80
35	33711600	4_(VB)_ნატურალური ყავისფერი 100 მლ	ცალი	2	7.8	15.60
36	33711600	5.00_(VB)_ინტენსიური ღია ყავისფერი 100 მლ	ცალი	2	7.8	15.60
37	33711600	6.00_(VB)_ინტენსიური ნატურალური მუქი ქერა 100 მლ	ცალი	2	7.8	15.60
38	33711600	6.1_(VB)_მუქი ფერფლისფერი ქერა 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80
39	33711600	7.00_(VB)_ინტენსიური ნატურალური ქერა 100 მლ	ცალი	2	7.8	15.60
40	33711600	7.1_(VB)_ფერფლისფერი ქერა 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80
41	33711600	7.31_(VB)_ოქროსფერი ფერფლისფერი ქერა 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80
42	33711600	7.32_(VB)_ოქროსფერი იისფერი ქერა 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80

43	33711600	7.35_(VB)_ოქროსფერი მაჰაგონისფერი ქერა 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80
44	33711600	7.4_(VB)_სპილენძისფერი ქერა 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80
45	33711600	7.66_(VB)_ინტენსიური წითელი ქერა 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80
46	33711600	8.00_(VB)_ღია ინტენსიური ნატურალური ქერა 100 მლ	ცალი	2	7.8	15.60
47	33711600	8.1_(VB)_ღია ფერფლისფერი ქერა 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80
48	33711600	8.4_(VB)_ღია სპილენძისფერი ქერა 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80
49	33711600	9.1_(VB)_ძალიან ღია ფერფლისფერი ქერა 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80
50	33711600	9.11_(VB)_ულტრა ღია ქერა ინტენსიური ფერფლისფერი 100	ცალი	1	7.8	7.80
51	33711600	9.31_(VB)_ძალიან ღია ოქროსფერი ფერფლისფერი ქერა 100 მლ	ცალი	1	7.8	7.80
		ჯამი				**2362.50**

შემსყიდველი:
სსიპ კოლეჯი „მერმისი“
დირექტორი: ნონა ღუდუშაური

_____
(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:
შპს „ჯეი ეფ ჯორჯია”

დირექტორი: შოთა ნოზაძე

_____
(ხელმოწერა)